

2008 წელი, 9 ივნისი

ახალი ამბები

მოსახლეობის დიდ ნაწილს დაუქლორავი სასმელი წყალი მიეწოდება

ივნისი 08, 2008

არასამთავრობო ორგანიზაციის, ასოციაცია “მწვანე ალტერნატივას” ინფორმაციით, საქართველოს ზედაპირული წყლები სერიოზულად ბინძურდება, რისი ძირითადი მიზეზიც დასახლებული პუნქტებისა და საწარმოო ობიექტების ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების უქონლობა ან მათი არაეფექტიანი მუშაობაა.

ზედაპირული წყლების დამაბინძურებელი წყაროებია: კომუნალური სექტორი (67 პროცენტი) და თბოენერგეტიკა (31 პროცენტი).

ორგანიზაციის მონაცემებით, საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობების უმრავლესობა მწყობრიდან არის გამოსული და ჩამდინარე წყლები წყალსატევებში გაწმენდის გარეშე ხვდება. წყალი ბიოლოგიურად საქართველოს არცერთ ქალაქში არ იწმინდება. პირველადი მექანიკური გაწმენდა კი მხოლოდ მტკვარზე, თბილისი-რუსთავის რეგიონული გამწმენდი ნაგებობის მეშვეობით ხორციელდება. მექანიკური გაწმენდა გულისხმობს წყლის მყარი ნარჩენებისაგან გასუფთავებას.

ქვეყანაში არსებული წყალსადენების 69 პროცენტს არ გააჩნია წყლის გასაუფნებელი დანადგარები, 28 პროცენტს – სანიტარიული დაცვის ზონები, 70 პროცენტზე მეტ წყალსადენზე კი საერთოდ არ არსებობს ან მწყობრიდან არის გამოსული საქლორე მოწყობილობები. ამის გამო მოსახლეობის დიდ ნაწილს დაუქლორავი სასმელი წყალი მიეწოდება.

ორგანიზაციის რეკომენდაციას, მოსახლეობისათვის ხარისხიანი და საკმარისი რაოდენობის წყლის მისაწოდებლად, მოხდეს წყლის ობიექტებიდან წყალაღებისა და წყლის ობიექტებში წყალჩაშვების რეგულირება.

2007 წლის 14 დეკემბრამდე ეს საკითხი რეგულირდებოდა საწარმოებისთვის წყალაღებისა და წყალჩაშვებაზე ნებართვების გაცემის გზით. თუმცა, როგორც “მწვანე ალტერნატივაში” აცხადებენ, 2007 წლის 14 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით ეს ნებართვები გაუქმდა. წყალზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხიანი წყლის უზრუნველსაყოფი სხვა მექანიზმი კი, დღემდე არ არის შემოთავაზებული.

რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი